

ნალექების ცვლილების დინამიკა კლიმატის ცვლილების ფონზე
(შავი ზღვის სანაპირო)

ლამზირა ლაღიძე, ლია მაჭავარიანი, ნოდარ წივწივაძე, ნინო პაიჭაძე, ნარგიზი მოწონელიძე, გიორგი ხომასურიძე

ელ-ფოსტა: lamzira.laghidze@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. #1, თბილისი, 0179, საქართველო

კლიმატის ცვლილების ტენდენცია განსაკუთრებით შეიმჩნევა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც მსოფლიოში აღინიშნა ხშირი კლიმატური კატასტროფები. მეცნიერულად დადასტურდა, რომ კლიმატის ცვლილება პლანეტის მასშტაბით, ცალკეულ რეგიონებში გამოიხატა საშუალო ტემპერატურის მატებით, მასთან დაკავშირებული ნალექების ინტენსივობის ზრდითა და ექსტრემალური მოვლენების სიხშირით (საქართველოს II-III ეროვნული ანგარიში 2009, 2015 წწ.). კლიმატის ცვლილების ფონზე, რეგიონალური ჰავის ცვლილება განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება და შავი ზღვის აუზში, დათბობისა და აცივების ტენდენციები შეინიშნება. ამ ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესების საზღვარი სავარაუდოთ საქართველოს ტერიტორიაზე გადის. სასაზღვრო ზონაში დათბობიდან აცივებაში ან პირიქით გადასვლა მონოტონურად არ ხდება, ჩნდება მცირე ტერიტორიები, სადაც კლიმატური პარამეტრების ცვლილება მკვეთრადაა გამოხატული.

ჩატარებული კვლევებით, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლინდა ძირითადი კლიმატური პარამეტრების ცვლილება. კერძოდ, აღინიშნა ჰაერის საშუალო და ექსტრემალური ტემპერატურების და ნალექების ჯამის ცვლილება. ამავე კლიმატური პარამეტრების პროგნოზი გვიჩვენებს, რომ მომავალში ეს ცვლილებები კიდევ უფრო დრამატულ ხასიათს მიიღებს.

შავი ზღვის სანაპირო ზონის, ატმოსფერული ნალექების ცვლილების დინამიკის დასადგენად გამოყენებულია 1957-2006 წწ. მეტეოროლოგიური სადგურების დაკვირვების მონაცემთა სტატისტიკური, კლიმატური და გრაფიკული ანალიზი. კერძოდ ნალექების ისეთი ძირითადი მახასიათებლები, როგორცაა, თვიური და წლიური ჯამები. დადგენილია ნალექების ცვლილების დინამიკა სეზონების მიხედვით 10 წლიანი პერიოდებისათვის.

ფოთის მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვების მონაცემებზე დაყრდნობით (1957-2006 წწ), წრფივი აპროქსიმაციის ტრენდით, ნალექების ჯამების სიდიდე გაიზარდა 450 მმ-ით, ხოლო ბათუმის მონაცემებით ნალექების ჯამები შემცირდა 100 მმ-ით.

განსაკუთრებით უხვნალექიანია აჭარის ზღვისპირა ზოლი, სადაც ნალექების დღეღამური მაქსიმუმი (352 მმ) ფიქსირდება ბათუმის რაიონში. ნალექების ხანგძლივობა ყოველთვის მეტია ცივ პერიოდში თბილ პერიოდთან შედარებით. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღინიშნა ტემპერატურისა და ნალექების ჯამების მკვეთრი ცვლილება, დათბობა-აცივების პერიოდები.

შავი ზღვა მოწყვლადია კლიმატის ცვლილების მიმართ, რაც დაუყოვნებლივ საჭიროებს საადაპტაციო ღონისძიებების გატარებას.